

4
1-041

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

კაკანაძე ირინა ბიძინას ასული

**რელიგიური ტერმინოლოგია სლავურ-რუსულ
და ქართულ ბიბლიურ წიგნებში**

(განსახილველი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების საფუძველზე)

10.02.07 - შედარებითი და ტოპოლოგიური ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
1999

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

კაკანაძე ირინა ბიძინას ასული

**რელიგიური ტერმინოლოგია სლავურ-რუსულ
და ქართულ ბიბლიურ წიგნებში**

(განსაზღვრული ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების საფუძველზე)

10.02.07 - შედარებითი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
1999



სადისერგაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ენების კათედრაზე.

სადისერგაციო საბჭოს ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დამანა მელიქიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნატალია ბასილაია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. უნათმეცნიერების ინსტიტუტი

დისერგაციის დაცვა შედგება 1999 წლის 22 დეკემბერს 14⁰⁰ საათზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერგაციო საბჭოს P10.02.C № 6 სხდომაზე.


მისამართი: 380028, თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 1

დისერგაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 2)

ავტორიუფურაგი დაგზავნილია 1999 წლის "22" ნოემბერს.

სადისერგაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გ. წიბახაშვილი



ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კაცობრიობის სულიერი კულტურის ისტორიაში ენას და რელიგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. რელიგიაში, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების დამოუკიდებელ სფეროში, არსებობს სამყაროს აღქმის საკუთარი საშუალებანი, თავისი „პრიმუმები“, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი სინამდვილეს შეიცნობს. ქართულ და სლავურ ენებში ასახული სამყაროს რელიგიური სურათი შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ ენების მაგარებელთა მიერ სამყაროს გარკვეული აღქმის შედეგი. ქრისტიანული რელიგიის გავლენა ამ ხალხების მენტალიტეტზე განსაკუთრებით დრმა და მრავალფეროვანია, ხოლო ბიბლიის თარგმნამ გადაამწყვეტი როლი შეასრულა არა მარტო მათი რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში, არამედ მათ ენათა განვითარებაშიც. ჩვენს მიერ შესწავლილი ენები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან გარკვეული სემანტიკური სფეროს, კერძოდ, რელიგიურის, სევტენგაციის თვალსაზრისით. სწორედ საკვლევე ენებში ობიექტური სინამდვილის ასახვის რთული ხასიათით და ორი მართლმადიდებელი ხალხის მიერ სამყაროს რელიგიური აღქმის სპეციფიური თავისებურებით არის განპირობებული ჩვენი ინტერესი ბიბლიური ტექსტების ლექსიკური შედგენილობის, სტრუქტურის და სემანტიკური ორგანიზაციის შეპირისპირებითი შესწავლისადმი დღენისეულ ენასა და თარგმანის ენაში.

დღეისათვის კვლავ გრძელდება ბიბლიური წიგნების ჰერმენევტიკა. კვლავ აუცილებელია თარგმანი-განმარტებები. ფილოლოგიური კულტურის თანამედროვე დონე საშუალებას იძლევა ახლებურად მივუღვეთ ბიბლიური წიგნების თარგმნის პრობლემას.

სადისერგაციო ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს უწყობს ლინგვისტური ბაზის შექმნას ბიბლიის თარგმნის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

სადისერგაციო ნაშრომში წარმოდგენილი ორი მართლმადიდებელი ხალხის მიერ სამყაროს რელიგიური აღქმის თავისებურებათა კვლევა, ეთნოფსიქოლინგვისტურ პრობლემათა, ცალკეულ

1776-